უმაღლესი სასწავლებლების ინფრასტრუქტურული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

ნინო ოქრუაშვილი

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ნინო ნადარეიშვილი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ოქრუაშვილი

2020.06.20

აბსტრაქტი

საგანმანათლებლო სივრცეების გამართული ინფრასტრუქტურა სტუდენტების უნარჩვევებისა და ცოდნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ვალდებულები არიან შექმნან გამართული სასწავლო გარემო.

კვლევებმა აჩვენეს რომ, საქართველოს ცოტა უნივერსიტეტი თუ სთავაზობს მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურულ პირობებს სტუდენტებს. აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო სივრცეების სტანდარტებისა და საჭიროებების დადგენა, რაც შემდგომში ერთგვარი საფუძველი იქნება წარმატებული საუნივერსიტეტო კომპლექსის შესაქმნელად, რომელიც დააკმაყოფილებს სტუდენტების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა სამეცნიერო ლიტერატურისა და კვლევებზე დაფუძვნებული კითხვარი, რომლის საშუალებითაც მოხდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების გამოვლენა. კვლევის ფარგლებში, თვისობრივი მეთოდის გამოყენებით, აღმოჩნა, რომ უნივერსიტეტებს არ აქვთ გამართული საგანმანათლებლო და სპორტული სივრცეები, რაც ხელს უშლის

სტუდენტების ცოდნისა და უნარების განვითარებას. კვლევამ ასევე გამოავლინა საგანმანათლებლო რესურსების სიმწირე და საჭიროებისამებს მოხმარების პრობლემები.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია, მსოფლიო და ადგილობრივ დონეზე საგანმანათლებლო სტანდარტების მაგალითები, აღწერილია ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ის გზები, რომელიც დაეხმარება უნივერსიტეტებს საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესებასა და განვითარებაში. ნაშრომში ასევე განხილულია იდეალური გარემოს მოწყობის მცდელობები და მახასიათებლები. ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში არსებული საუნივერსიტეტო კომპლექსების ინფრასტრუქტურის კვლევას, რომელიც დაფუძნებულია მსოფლიოში შემუშავებულ სტანდარტულ მოდელზე და იძლევა ინფორმაციას საუნივერსიტეტო სივრცეების შესაფასებლად.

საკვლევი თემა აერთიანებს ყველა იმ მნიშვნელოვან სტანდარტს, რომელიც არა მხოლოდ სასურველი, არამედ აუცილებელად გასათვალისწინებელია საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. იგი შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი საფუძველი მომავალი ძიებებისთვის და პროექტირებისთვის, რათა შეიქმნას კომფორტული და გამართული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: უნივერსიტეტი, ლანდშაფტი, საგანმანათლებლო სივრცეები, ინფრასტრუქტურა, მდებარეობა, გეგმარების პრინციპები, უტოპია, უტოპიური ქალაქები.